გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ხაშურის მოამბე

№14 (388) 16 აპრილი, კვირა, 2023 წელი

აღდგომა სახეა სიცოცხლისა

აღდგომა, მოძრავი დღესასწაულია, რომელიც აღინიშნება ახალი სტილით 4 აპრილსა და 8 მაისს შორის. ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ 325 წელს დაადგინა ზეიმის აღნიშვნა გაზაფხულის ბუნიობის მომდევნო კვირას, იუდეველთა პასექის დასასრულს, უთუოდ მისგან განცალკევებით და კვირის ბოლოს.

ქრისტიანთათვის აღდგომა უდიდესი დღესასწაულია, რადგან იესო ქრისტემ ჯვარცმითა და შემდეგ აღდგომით კაცობრიობას ჩაუსახა რწმენა სულის უკვდავებისა, საუკუნო ცხოვრებისა. ქრისტეს აღდგომა ძველის – ახლით, ბნელის – ნათელით, სიკვდილისა – სიცოცხლით შეცვლას ნიშნავს.

აღდგომა სახეა სიცოცხლისა

წმ. იოანე ოქროპირი ასე განმარტავს ამ უდიდესი დღესასწაულის მნიშვნელობას:

„დღეს აღესრულა, საყვარელნო, რაც მრავალი საუკუნის წინ თქვა დავით წინასწარმეტყველმა: „მწუხრი იყვნენ ტირილით და ცისკარს სიხარულით“. რამეთუ მწუხარება, რომელმაც მოიცვა მოციქულნი უფლის ჯვარცმისას, მისი აღდგომის სიხარულით შეიცვალა“; ხოლო ქრისტეს ჯვარმცმელების სიხარული ცისკარზე უფლის აღდგომით მათ სირცხვილად გადაექცათ“.

ასევე თითოეული მორწმუნე ქრისტიანი ხვდება აღდგომას სიხარულით.

„ქრისტიანობამ იცის, რისთვის აქებს და ადიდებს ამ დღეს: მკვდრეთით აღდგა ქრისტე და აღადგინა თავისი კაცთამხსნელი მოძღვრება, თავისი ახალი ცხოვრების მომნიჭებელი აღთქმა... დიდმა მოძღვრებამ ყოვლად მაცხოვარ სიყვარულისა გაჰფანტა ბნელი, გაადნო ყინული ძველის უწყალობისა და მოჰფინა იგი ნათელი და სითბო წყალობისა, ურომლისოდაც ქვეყნიერებაზედ არაფერი არ ხეირობს„ არაფერი არ მოდის, არ იზრდება, არ ყვავის, არ ცოცხლობს. გაიყარა ძველი და ახალი, ბნელი და ნათელი, სიკვდილი და სიცოცხლე და მოგვანიჭა ცხოვრება იმიტომ, რომ მკვდარი იყო სული ჩვენი და ქრისტემ აღადგინა მკვდრეთით... თუ ზამთარი სახეა სიბერისა, მიძინებისა, სიკვდილისა, გაზაფხული სახეა ახლობლისა, აღდგომა - სიცოცხლისა“.

აღდგომა გამორჩეულია მის აღნიშვნასთან დაკავშირებული საერო სიმბოლოებითაც, როგორიცაა წითელი კვერცხი, „არტოსი“, პასკა.

წითელი კვერცხი

სააღდგომოდ, ჩვენ, ყველანი, წითლად ვღებავთ კვერცხებს და ერთმანეთს ვუცვლით ამ სიტყვებთ: „ქრისტე აღსდგა“. ეს ჩვეულება ძალიან ძველია. არის გადმოცემა, რომ ამაღლებამდე იესო ქრისტემ თავისი მოწაფეები სხვადასხვა ადგილებში დაგზავნა, რათა ადამიანებისთვის მისი აღდგომის შესახებ ეხარებინათ. საქადაგებლად გაეშურა მარიამ მაგდალინელიც, რომლისგანაც მაცხოვარმა შვიდი ეშმაკი განდევნა და რომელმაც ღვთისმშობლის შემდეგ პირველმა იხილა მკვდრეთით აღმდგარი უფალი. წმიდა მარიამი რომში ჩავიდა და პირდაპირ იმპერატორის სასახლეს მიაშურა. იგი ცნობილი პიროვნება იყო და ამიტომ დაუბრკოლებლად გაატარეს სასახლეში. მან იმპერატორ ტიბერიუსს საჩუქრად კვერცხი გაუწოდა და ახარა: „ქრისტე აღსდგა“. იმპერატორმა ქალს ეჭვით შეხედა და წამოიძახა: „როგორ შეეძლო მკვდარს აღმდგარიყო?! ეს ისევე დაუჯერებელია, როგორც ის, რომ ახლა ეს კვერცხი გაწითლდესო“. სიტყვები ჯერ არ ჰქონდა დამთავრებული, რომ კვერცხი მართლაც გაწითლდა. ამ დღიდან მოყოლებული ქრისტიანები წითელი კვერცხებით ეგებებიან აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

საერთოდ, კვერცხი მარადიული სიცოცხლის სიმბოლოა, რადგან მისგან ცოცხალი არსება იბადება, იესო ქრისტემ კი სიცოცხლე მოგვანიჭა. წითელ ფერში სისხლი მოიაზრება, რადგან იესო ქრისტემ თავისი სისხლით სიცოცხლე განწმინდა და აკურთხა.

ღვთის წყალობა ყოფილიყოს ჩვენს მიწაზე

ჩემო ძვირფასო თანამემამულენო, გილოცავთ მაცხოვრის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის ამ ყველაზე დიდ, სიხარულისა და იმედის მომტან დღეს, სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების, სულიერი ამაღლებისა და საყოველთაო განახლების დღესასწაულს.

მინდა მთელი სულითა და გულით გისურვოთ იესო ქრისტეს აღდგომის სიხარულით აღსავსე ცხოვრება, ბედნიერება და სიხარული, რწმენა და კეთილდღეობა.

ღვთის წყალობა იყოს ჩვენს მიწაზე მშვიდობის, ჩვენი სახელმწიფოს სულიერი აღორძინების, ჩვენი ყველაზე ფარული იმედების ასრულების გარანტი.

ზაალ (ზაზა) დუგლაძე,
ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატი

უფალი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახების მფარველი

იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა - უდიდესია ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის - სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების დღესასწაული.

ბრწყინვალე აღდგომა ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის დიდი სიხარულისა და იმედის მომტანია.

უფალი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახების მფარველი. გისურვებთ სიკეთეს, სულიერ სიძლიერეს და ჯანმრთელობას.

ქრისტე აღსდგა!

ჭეშმარიტად აღსდგა!

თენგიზ ჩიტიაშვილი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი

გილოცავთ სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების დღესასწაულს

ქრისტე აღსდგა! გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების, განახლების, რწმენის, სიყვარულის დღესასწაულს! გვიყვარდეს ერთმანეთი, სწორედ ისე, როგორც ქრისტემ შეგვიყვარა, გულით, გონებითა და საქმით. უფალმა მრავალ ქრისტეს აღდგომის დღესასწაულს დაგასწროთ!

ნინო ლიპარტელიანი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის თორმეტი თვის შესრულების ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №16 დადგენილებით.

დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, 2022 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 21 353.10 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის ძირითად საბიუჯეტო ანგარიშზე, 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნაშთის სახით, ირიცხებოდა 5 738.2 ათას ლარი (აქედან - ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი 5 077.7 ათასი ლარი, დელეგირებული 71.9 ათასი ლარი მთავრობს განკარგულებით მიღებული თანხების ნაშთი - 588.6 ათასი ლარი).

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების საფუძველზე განხორციელდა დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 2022 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 38 400.8 ათასი ლარით, რაც 17 047.7 ათასი ლარით აღემატება თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებელს.

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შემოსულობების საკასო შესრულებამ 39 426.2 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 101,60%. რაც შეეხება შემოსულობების გეგმის შესრულებას ცალკეული სახეობების მიხედვით, შემდეგნაირად გადანაწილდა:

შესაბამისი პერიოდის გეგმასთან მიმართებაში გადასახადების გეგმა შესრულდა 101,92% (21 842. 4 ათასი ლარი), მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახადი - 101.15%-ით, საწარმოთა ქონების გადასახადი - 84.82%-ით, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი - 95.07% , სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი - 89.24%, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი - 87.91%.

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა 111.07 %-ით (2 877.1 ათასი ლარი), მათ შორის: რენტა 131.12%-ით, მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის - 70.49%ით, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 66.83 %-ით, შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან - 104.76%-ით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლების გეგმა შესრულდა 122.08%-ით.

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შემოსულობების საერთო ოდენობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხვედრითი წილი შეადგენს 22,19%-ს (8 752.4 ათას ლარს), „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტში მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გათვალისწინებულია- 250,0 ათასი ლარი, მიღებულია – 250.0 ათასი ლარი.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის 75 განკარგულების საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 5 974.2 ლარი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად. (ნაბახტევში გზის მოასფალტების სამუშაოებისათვის, სოფელ ვაყის ხიდიდან ტკოცამდე გზის მოასფალტების (I და II ეტაპი) და სოფელ ცოცხნარამდე და ქემფერამდე გზის მოასფალტების სამუშაოებისათვის).

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში, მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის №277 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 904 000 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორცილებელი ღონისძიებების შესახებ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 18 ივლისის №1275 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 135 523 ლარი (სოფელ წაღვლში ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოების დასაფინანსებლად).

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 მაისის №926 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 483,533 ლარი (სოფელ ბულბულისციხეში გზის მოასფალტების სამუშაოებისათვის).

ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ „საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის №51 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 48 725 ლარი, ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის, ხოლო ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად, - 330 324 ლარი.

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, გადასახდელების საკასო შესრულებამ 33 458.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 87,12%-ს შეადგენს. ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, თორმეტი თვის განმავლობაში გასაწევი ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების გეგმის შესრულება გადანაწილდა შემდეგნაირად: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 89,56% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში -12,91%), თავდაცვა - 91,10% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 0,45%), ეკონომიკური საქმიანობა - 64,26% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 33,99%), გარემოს დაცვა - 93,72% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 5,41%), საბინაო–კომუნალური მეურნეობა – 88,23% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 4,515%), ჯანმრთელობის დაცვა - 99,32% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 0,30%), დასვენება, კულტურა და რელიგია -78,66% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 10,57), განათლება - 98,47% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 9,11%), სოციალური დაცვა - 90,61% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯში 3,55%, ბიუჯეტის

გადასახდელების გეგმა ეკონომიკური კლასიფიკაციის ჭრილში შემდეგნაირად შესრულდა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები - 98,02%-ით, საქონელი და მომსახურების ხარჯები - 90,04%-ით, სუბსიდიები - 97,36%-ით, გრანტები - 99,54%-ით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 92,76%-ით, სხვა ხარჯები - 87,98%-ით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 81,33%-ით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 დეკემბრის №16 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვრა 30.0 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული სამართებლივი აქტების საფუძველზე.

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან განხორციელდა თანხის გამოყოფა 9974,78 ლარის ოდენობით (02.03.2022 84.84220619ბრძანება) უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის დამეგობრებული უკრაინული ქალაქებისათვის ნოვოგრად-ვოლნისკისა და ობუხოვისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის მიზნით.

300 ლარის ოდენობით (20.04.2022 84.84221103 ბრძანება), უკრაინაში შექმნილი საომარი მდგომარეობიდან გამომდინარე, ხაშურის მუნიციპალიტეტში შემოსული კიევში მცხოვრები გალინა ზაბრეიკოსათვის დროებითი საყოფაცხოვრები პირობების შესაქმნელად ფინანსური დახმარების გაწევის მიზნით.

300 ლარის ოდენობით (20.06.2022 84.842217114 ბრძანება), უკრაინაში შექმნილი საომარი მდგომარეობიდან გამომდინარე, ხაშურის მუნიციპალიტეტში შემოსული უკრაინაში მცხოვრები ვიქტორ იაკოვლევის და თამარა იაკოვლევას დროებითი საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად ფინანსური დახმარების გაწევის მიზნით.

3000 ლარის ოდენობით (30.09.2022 84.84222736 ბრძანება), ქალაქ ხაშურში იმერეთის ქუჩა 86-ში მცხოვრები გიორგი ბანცაძის საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსების მიზნით. სულ 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია 13 574,78 ლარი.

ლელა მაჭარაშვილი,
მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი

9 აპრილის მემორიალი გვირგვინებით შეამკეს

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა, 9 აპრილის მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

მუნიციპალიტეტის პირველ პირებთან ერთად, მემორიალთან იმყოფებოდნენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და ახალგაზრდები, რომლებმაც, 9 აპრილს დაღუპულებს, სიმბოლურად, წითელი ტიტებით მიაგეს პატივი.

აღევლინა გმირთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი.

ღონისძიება მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით მოეწყო.

9 აპრილი საქართველოსა და ქართველი ხალხისთვის ერთდროულად არის ცრემლისა და სიხარულის დღე.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ დასაბამი მისცა საქართველოს თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესს.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

6 აპრილს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი უძღვებოდა.

საკრებულომ დაამტკიცა ცვლილებები „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს დადგენილებაში, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულებაში,„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ დადგენილებაში.

მხარი დაუჭირა პროექტებს: „ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელებისათვის გათვალისწინებული თანხის მოცულობის განსაზღვრის და განაწილების შესახებ“; დაბა სურამში, ჩუმათელეთის და იტრიის დასახლებაში 2 ცალი სასმელი წყლის ჭაბურღილის, საქლორატოროს და სასმელი წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოების“ შესყიდვისა და შესაბამისი გარიგების დადების თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ; ხაშურის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მოისმინა და შეაფასა ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შპს „არქიტექტორის“2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

პროექტები საკრებულოს აპარატისა და მერიის სამსახურების ხელმძღვანელებმა და სპეციალისტებმა წარმოადგინეს. სხდომაზე მოწვეული იყო ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მმართველი ლელა გელაშვილი. სხდომას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის 8 საჯარო სკოლისა და წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონის უფროსკლასელები.

— საგრანტო კონკურსი-2023 —

საინფორმაციო შეხვედრა

ხაშურში, სამუსიკო სკოლის დარბაზში, მიკრო და მცირე მეწარმეობის საგრანტო პროგრამა 2023 -ის ფარგლებში, საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს წარმომადგენლები უძღვებოდნენ. მათი განმარტებით, საგრანტო პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ნებისმიერ სრულწლოვან მოქალაქეს, რომელსაც სურს საკუთარი ბიზნესიდეის წარმატებულ საქმიანობად გარდაქმნა, ან არსებული ბიზნესის გაფართოება.

გრანტის მაქსიმალური მოცულობა 30 000 ლარს შეადგენს. მეწარმის მხრიდან განსახორციელებელი თანამონაწილეობის თანხა შეადგენს გრანტის თანხის არანაკლებ 20%-ს, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში არანაკლებ 10%-ს.

არსებული ბენეფიციარის შემთხვევაში, ბენეფიციარის თანამონაწილეობა გრანტის თანხის არანაკლებ 50%-ით, მაღალმთიან დასახლებებში კი, არანაკლებ 25%-ით განისაზღვრა.

პროგრამის ფარგლებში განისაზღვრა რამდენიმე პრიორიტეტი:

ახალი ბიზნესის წამოწყება;

ახალგაზრდა მეწარმე სუბიექტის მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება;

ქალი მეწარმის მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება;

იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება;

შშმ პირთა მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება;

სოციალურად დაუცველი პირის მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება;

სოფლად/მაღალმთიან დასახლებებში ბიზნესის დაწყება/გაფართოება;

განთავსების საშუალებებსა და ტურისტულ სერვისებზე ორიენტირებული პროექტის განხორციელება.

უკვე მიმდინარეობს იწყება ბიზნესიდეების მიღება მიკრო და მცირე მეწარმეობის საგრანტო პროგრამაზე. ბიზნესიდეების წარმოდგენის ბოლო ვადაა 27 აპრილი, 15:00 საათი.

მუსიკალურ სკოლაში გამართული შეხვედრის ორგანიზატორი იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილება.

ერთად ვიზრუნოთ უკეთესი გარემოს შექმნისთვის

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია ეხმაურება ინტერნეტ სივრცეში გავრცელებულ ინფორმაციას ხაშურის მეშვიდე სკოლის მიმდებარე მინი სტადიონის მდგომარეობის შესახებ.

როგორც ფოტოებიდანაც ჩანს, სტადიონის ერთ-ერთ კართან მისასვლელი ნამდვილად საჭიროებს კიბეს. ეს პრობლემა უახლოეს პერიოდში იქნება მოგვარებული.

რაც ეხება სტადიონზე შესასვლელ კარს და დაზიანებულ ფარს, გვსურს განვაცხადოთ, რომ ეს გახლდათ მექანიკური დაზიანება, რომელიც, მაღალი ალბათობით უკეთეს შემთხვევაში დაუდევრობის შედეგია, უარეს შემთხვევაში კი განზრახ ნამოქმედარი. აქვე ვაცნობებთ მოსახლეობას, რომ დღეის მდგომარეობით კარიც და ფარიც უკვე აღდგენილია.

როგორც ფოტოებზეც ჩანს, სტადიონის მიმდებარე ტერიტორია დაბინძურებულია მაშინ, როცა ნაგვის ურნები სტადიონიდან არცთუ დიდ მანძილზეა განლაგებული. გვინდა მოქალაქეებს შევახსენოთ, რომ იმ გარემოზე ზრუნვა, სადაც თავადვე ცხოვრობენ, მათი მოქალაქეობრივი ვალდებულებაა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია მუდამ მზად არის თანამშრომლობისთვის მოქალაქეებთან და თუ ისინი გადაწყვეტენ დასუფთავების აქციის მოწყობას, მუნიციპალიტეტიც ჩაერთობა საკუთარი რესურსით.

მუნიციპალიტეტის მერია მოგიწოდებთ გავუფრთხილდეთ ქალაქში არსებულ ინფრასტრუქტურას, დავიცვათ გარემო და ერთად ვიზრუნოთ უკეთესი გარემოს შექმნისთვის.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია

ხაშურში, ზემო სერზე, ბანას მიმდებარე ტერიტორია დასუფთავდა

ხაშურის მუნიციპალიტეტში დასუფთავების აქციები რეგულარულად ხორციელდება, თუმცა, მოქალაქეების მხრიდან გარემოს დაბინძურება კვლავაც გრძელდება, რაც ძალიან სამწუხაროა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია, მოუწოდებს მოსახლეობას, გამოიჩინონ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და გაუფრთხილდნენ გარემოს!

სამუშაოებს ახორციელებდნენ ა(ა)იპ „ხაშურსერვისის“ თანამშრომლები და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამით მომუშავე პირები მათი ინფორმაციით, მსგავსი ტიპის დასუფთავების აქციები, ინტენსიურად გაგრძელდება და ეტაპობრივად, მუნიციპალიტეტის ყველა საჭირო ლოკაციას მოიცავს.

სოფელ ალში, ტაძრამდე მისასვლელი გზის მოწყობა აქტიურად მიმდინარეობს

„პროექტი ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება. კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურით კი 2 000 - მდე მცხოვრები ისარგებლებს.

პროექტი, ასევე, ითვალისწინებს სანიაღვრე არხების მშენებლობასა და საგზაო მონიშვნებს. მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სოფლის შიდა გზების მოწყობა ეტაპობრივად გაგრძელდება.“ აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერთან ერთად მიმდინარე სამუშაოებს გაეცნენ მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გიორგი პაპიაშვილი. მათი ინფორმაციით, პროექტს მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს, ღირებულება კი 554 662 ლარს შეადგენს.

გამწვანების აქცია ტკოცაში

სოფელ ტკოცაში, ტკოცის საჯარო სკოლის დირექტორის ლიანა ლომიძის ინიციატივით, ბუნების მკვლევართა კავშირ „ორქისისა“ და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, გამწვანების აქცია მოეწყო, რომელშიც მონაწილეობა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნინო ლიპარტელიანმა, საკრებულოს წევრებმა: ალექსანდრე ნოზაძემ და დავით მეტრეველმა, ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ზვიად გოგუაძემ და სოფლის მოსახლეობამ მიიღეს.

ყოფილი ნაგავსაყრელის ტერიტორია გაიწმინდა, ქიმიურად დამუშავდა და დაირგო მარადმწვანე კიპაროსისა და ტუიას ნერგები, ბზები, იასამნები, ვარდები. მოსახლეობის სურვილია, რომ ტერიტორია შემოიღობოს, მოეწყოს სკვერი და დაიდგას ატრაქციონები.

აღსანიშნავია, რომ აქციაში, მოსწავლეებთან ერთად, უფროსი თაობის წარმომადგენლებიც იყვნენ ჩართულები, რომლებმაც აიღეს პასუხისმგებლობა ნარგავების მოვლაზე იზრუნონ.

მერია კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ და მოგიწოდებთ

პატივცემულო მოქალაქეებო, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ რამდენიმე დღის წინ გაავრცელა გაფრთხილება, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე, მდინარე მტკვარზე, სოფელ ხალებთან დამაკავშირებელი ხიდის ავარიული მდგომარეობისა და აქედან გამომდინარე, მისი ექსპლუატაციის კატეგორიულად აკრძალვის შესახებ.

მუნიციპალიტეტმა ხიდთან გამოაკრა გამაფრთხილებელი განცხადება და მეტი უსაფრთხოებისთვის მისასვლელი გზა ბეტონის ბორდიურით ჩახერგა.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მოხდა ჩამხერგავი ბორდიურის თვითნებური გადაადგილება, რაც მაღალი ალბათობით გულისხმობს, რომ გარკვეული პირები აგრძელებენ ხიდით სარგებლობას, რაც უდიდეს საფრთხესთანაა დაკავშირებული.

მუნიციპალიტეტის მერია აუცილებლად მიიჩნევს ერთხელ კიდევ განმარტოს, რომ ხიდზე შესასვლელი ბორდიურით ჩახერგილია კონკრეტული მიზნით - რათა არ მოხდეს ხიდზე მოქალაქეების, ავტომობილების, პირუტყვის გადაადგილება, რაც უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს მათი სიცოცხლისთვის.

მუნიციპალიტეტის მერია მოგიწოდებთ, არ მიმართოთ თვითნებურ ქმედებებს, გადაადგილებისთვის, ნუ გამოიყენებთ ავარიულ ხიდს, და გთხოვთ, ისარგებლოთ შემოვლითი გზით სოფლების: თაგვეთისა და ხცისის მხრიდან.

მუნიციპალიტეტის მერია აგრძელებს ინტენსიურ მუშაობას ამ საკითხზე.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ მუნიციპალიტეტის მერიას.

ცხელი ხაზი: 0368241502

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია

დაბა სურამში, იტრიის დასახლებასთან, სკვერის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს



პროექტის ფარგლებში, დამონტაჟდება გარე განათებები, დასასვენებელი სკამები, ურნები, საბავშვო ატრაქციონები. მოეწყობა დეკორატიული აგურის კედელი, გაკეთდება ფანჩატური, იქნება მწვანე სივრცეები.

„აღნიშნული სამუშაოები, სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში, სლოგანით „დაგეგმე შენი ბიუჯეტი“ ხორციელდება. პროგრამის მიზანია გაიზარდოს მოქალაქეთა ჩართულობა მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე და მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული მოსახლეობის ინტერესი. ტექნიკურ მხარეში, დაგვეხმარა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია GIZ, ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რა თქმა უნდა, ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან. პროექტი საპილოტე რეჟიმში, მუნიციპალიტეტის სამ ადმინისტრაციულ ერთეულში ხორციელდება და სამომავლოდ, ის უფრო მასშტაბური იქნება“-აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერთან ერთად სამუშაოებს ეცნობოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გიორგი პაპიაშვილი, მათი განმარტებით, მშვიდობის ქუჩის ბოლოს, ყოფილი საკირის ტერიტორიაზე, სკვერის მოწყობა, გართობისა და დასვენების საშუალებას მისცემს, როგორც ადგილობრივ მცხოვრებლებს, ასევე, სტუმრებს.

სამუსიკო სკოლის სიმებიანი, საფორტეპიანო და საგუნდო კლასების მოსწავლეებმა და პედაგოგებმა კახა ცაბაძის კომპოზიციები, თბილისის კამერულ ორკესტრთან ერთად, დირიჟორ რევაზ ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შეასრულეს.

გარდა კამერული ორკესტრისა, კონცერტში მონაწილეობდნენ სპეციალური სტუმრებიც: მსოფლიო ბარიტონი გიორგი გაგნიძე, მომღერალი ლევან ტაბატაძე, კონსერვატორიის სტუდენტი მარიამ გაგნიძე, კონცერტმაისტერი ვიქტორია ჩაპლინსკაია.

შეხვედრა შეაჯამა კომპოზიტორმა კახა ცაბაძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა კონცერტის ორგანიზატორებს და შეასრულა პოპულარული ნაწარმოებები საკუთარი რეპერტუარიდან.

თბილისის კამერული ორკესტრისა და ხაშურის სამუსიკო სკოლის ერთობლივი კონცერტები, რომელიც სამუსიკო სკოლის პედაგოგ ფატი სადაღაშვილის ორგანიზებით ეწყობა, უკვე ტრადიციულ ხასიათს ატარებს.

— სკოლამდელი აღზრდა —

ორიენტირი - საუკეთესო მომავლის საზოგადოება

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სტანდარტის შესაბამისად, საბავშვო ბაღი უნდა აკმაყოფილებდეს სხვადასხვა თემატურ მიმართულებას. ერთ-ერთი აუცილებელი კრიტერიუმია: მშობლები, ოჯახი, თემი და საბავშვო ბაღი. მხარდაჭერა, თანამშრომლობა და გაძლოერება. საადმზრდელო დაწესებულებამ ოჯახთან და თემთან ურთიერთობა მიზნობრივად უნდა წარმართოს. მან უნდა უზრუნველყოს მშობელთა ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით. ბაღმა უნდა გამოიყენოს თემში არსებული რესურსები კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას.

ქ. ხაშურის №16 წრომის საბავშვო ბაღში მშობელთა ჩართულობა უკვე წლებს ითვლის. გამომდინარე აქედან, სხვადასხვა პროცედურული განხილვების შედეგად, საბავშვო ბაღში ჩამოყალიბდა ბაღთან არსებული „მომავლის კლუბი". ეს არის გაერთიანება, რომელიც 23 წევრისგან შემდგარ ბაღის თანამშრომლების, მშობლების და ბავშვების ერთობლიობას წარმოადგენს. კლუბს აქვს დებულება, წესდება, მიზნები, ლოგო და ფეისბუქგვერდი სოც.

ქსელში. მისი მიზანია: შემოქმედებითი, ინდივიდუალური, მოტივაციური, კულტურულ და ინტელექტუალური განვითარება. ახლახანს, კლუბი საზეიმოდ გაიხსნა. იყო პირველი ნაბიჯები, პირველი სტუმრები: სამაგალითო და გამორჩეული ქალბატონები ა.(ა) ი.პ. ხაშურის მუნიციპალიტეტის სსბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველი ლელა გელაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, წევრი მარინე დიდებულიძე. აღსანიშნია, რომ ეს ავტორიტეტული პიროვნებები კლუბის საპატიო წევრებიც გახდნენ. მათი გამოცდილების გაზიარება და გვერდში დგომა მნიშვნელოვანი და დასაფასებელია. ყოველ შეხვედრაზე ხდება პრეზენტაციების წარდგენა და დისკუსია, როგორც ბაღის პროფესიონალებისგან ისე მშობლებისგან. ერთ- ერთ პრეზენტაციის თემასთან დაკავშირებით საინტერესო იყო ანსამბლ „ თუთარჩელას" თეორეტიკოსის ინგა მელიქიძის ჩართვა. თანამშრომლობის და პრაქტიკის გაზიარების მიზნით, კლუბს ესტუმრნენ სურამის, ოსიაურის და ვაყის ბაღის მუსიკის მასწავლებლებიც. კლუბის წევრებში ხდება რესურსების, ნიჭის და უნარების გამოვლენა გაზიარება. მაგალითად მშობლის მიერ შთაბეჭდილებების წიგნის შექმნა, სადაც ყველა სტუმარი ტოვებს ძვირფას და საინტერესო ჩანაწერს. წინ ბევრი განსაკუთრებული დღე და ახალი იდეებია. იმედია „ მომავლის კლუბი" ამ გაერთიანებით მნიშვნელოვან სიტყვას იტყვის აღსაზრდელთა განათლების და ჩამოყალიბების პროცესში და არა მარტო აღსაზრდელთათვის, რაიონს სჭირდება ძლიერი, განათლებული, საუკეთესო მომავლისკენ ორიენტირებული საზოგადოება და თემი.

ქინძათის საჯარო სკოლის მოსწავლეთა შემოქმედება კრებულებში აისახა

ხელში მიჭირავს პატარა ჩანახატების კრებული, საიდანაც გაზაფხულის მზესავით იღვრება მათი ნაფიქრალი, ნააზრევი, კრიალა თვალებით დანახული, უბოროტო სამყარო-ქინძათის სკოლის მოსწავლეები სიცოცხლეს, სილაღეს, სამშობლოს, ვაჟკაცობას უმღერიან. გალობასავით შემოდის მათი ანკარა ხმით წაკითხული ლექსები და ესეები. როგორი თავისუფლები არიან, როგორ უყვართ, როგორ გამოხატავენ ფურცელზე გადმოტანილი სიტყვებით, ყველაფერი, რასაც მათი პატარა თითები ეხება და შეიგრძნობს.

„ჩემო პაწაწინა ანგელოზებო, უსაზღვროდ გიყვარდეთ ჩვენი უძველესი და ულამაზესი სამშობლო!

არ დაგზარებოდეთ სწავლა!

დაე, ჩვენი სათაყვანებელი ქვეყნის, სათაყვანებელ მამულიშვილთა ღირსეული გზის ღირსეული გამგრძელებელნი ყოფილიყავით!

თქვენი ელიკო მასწავლებელი."

-ასე ლოცავს და სიკეთით სავსე სურვილებს უგზავნის მოსწავლეებს ელიკო ქართველიშვილი, მოსწავლეების უსაყვარლესი მასწავლებელი, რომელმაც შეაგროვა და რამდენიმე კრებულად გამოსცა მოსწავლეების თვითნაბადი შემოქმედება.

ქალაქ ხაშურში, ტურისტული ცენტრის მიმდებარედ, სკვერის მოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებით, ტენდერი გამოცხადდა

პროექტის ფარგლებში, მოეწყობა თანამედროვე სტილის გარე განათებები, დამონტაჟდება დასასვენებელი სკამები, იქნება გაზონები, სადაც დაირგვება ბუჩქოვანი ტიპის მცენარეები და სხვადასხვა ჯიშის ყვავილები. ტერიტორია დეკორატიული ფილებით მოპირკეთდება.

აღნიშნული სივრცე, ქალაქის შემოსასვლელში მდებარეობს, ამიტომ მისი კეთილმოწყობა მნიშვნელოვანია, როგორც ვიზუალური ეფექტის თვალსაზრისით, ასევე გართობისა და დასვენებისთვის.

უჩვეულო შემთხვევა ჩვენს ქალაქში

აღდგომის წინა დღეებში, ხაშურში, მთავარ მოედანზე, ქალაქის ცენტრში, მართლაც უჩვეულო შემთხვევა დაფიქსირდა. ფიფქივით თეთრმა ყანჩამ, რომელსაც ეტყობოდა, რომ ჯერ კიდევ „თინეიჯერობის“ ასაკს არ იყო გაცილებული, ჯერ რამდენიმე წრე მოხაზა მოედნის გარშემო, შემდეგ, როდესაც დარწმუნდა, რომ ეს ადგილი სრულიად შესაფერისი იყო მისთვის, მშვიდად დასკუპდა მწვანე მოლზე. არც გარშემო ახმაურებულ ავტომობილებს შეუწუხებია პატივცემული სტუმარი და არც ჩვენი მისვლა გაჰკვირვებია, როდესაც ამ უჩვეულო მოვლენას ფოტოს ვუღებდით. უფრო მეტიც: რადგან ასე გიკვირთ ჩემი გამოჩენა, უფრო „მკვლელ ნომერს“ შემოგთავაზებთო, - ყანჩამ ხმაურით გვამცნო, აფარფატდა და მოედნის ცენტრში მდებარე საათის თავზე შემოსკუპდა. მართლაც ლამაზი სანახაობა იყო.

სხვათაშორის, ამ სახეობის ყანჩები სამხრეთ საქართველოში მრავლად გვხვდებიან. ისინი არც ადამიანებს ერიდებიან და ხშირად ბუდეებს მათი სახლების ახლოს, მაღალ ბოძებზე იკეთებენ. ამბობენ, ვის ეზოშიც ყანჩა დასახლდება, იმ ოჯახისათვის ბედნიერება მოაქვსო. ეს „ჩვენი“ ყანჩაც ეგებ ანგელოზის გამოგზავნილი იყო, რომ ქალაქი დაელოცა, ან სულაც დამდეგი აღდგომა მოელოცა? ამას, რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ გავიგებთ, მაგრამ კარგად კი გვენიშნა, რომ ეს ბედნიერების მომტანი ფრინველი სწორედ აღდგომის დღეებში გვესტუმრა.

ბედნიერება მოეტანოს ჩვენი ქალაქისათვის და სრულიად მთელი მუნიციპალიტეტისათვის.

„ივერიამ“ სეზონი მოგებით დაიწყო

ფეხბურთში, საქართველოს ჩემპიონატის რეგიონლიგაში, სადაც ხაშურის „ივერიაც“ ასპარეზობს, 2023 წლის სეზონი დაიწყო. გასული წლის ჩემპიონატის შემდეგ, რომელშიც „ივერიას“ სულ ცოტა დააკლდა მესამე ლიგაში აღზევებამდე. გუნდში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. რა თქმა უნდა, წელსაც, ისევე, როგორც შარშან, გუნდის პროგრამა მაქსიმუმიც და მინიმუმიც პირველობაა, რომ წინ წაიწიოს. სეზონი კი მართლაც რიხიანად დაიწყო ჩვენმა გუნდმა და წინა კვირას, გასვლაზე, კასპის გუნდი გაანადგურა - 4:1. უფრო დაწვრილებით „ივერიის“ მიზნებზე, განხორციელებულ ცვლილებებზე თუ სხვა პერიპეტიებზე, გაზეთის შემდეგ ნომერში გიამბობთ, როდესაც შემოგთავაზებთ ინტერვიუს „ივერიის“ უფროს მწვრთნელთან ზურაბ ლომიძესთან. მანამდე კი დავაანონსებთ, რომ „ივერიას“ შემდეგი თამაში 19 აპრილს აქვს სახლში (18.00 სთ) ახალციხის „მესხეთთან“. იმედია, კრგად აღებული სტარტი, ასევე წარმატებით გაგრძელდება და წელს ჩვენი გუნდი დასახულ მიზანს მიაღწევს.

„აღდგა“ თუ „აღსდგა?“

ყოველ აღდგომას, როგორც წესი, თითქმის მუდამ ახლავს პოლემიკა თუ რომელი ფორმულირებაა სწორი - „აღდგა“ თუ„აღსდგა“. ამის შესახებ ჩვენ ჯერ კიდევ გასულ წელს გავაკეთეთ განმარტება, მაგრამ, რადგან ეს თემა კვლავ აქტუალურია, თავს ნებას ვაძლევთ, კიდევ ერთხელ შემოგთავაზოთ ეს განმარტება და, შეძლებისდაგვარად, წერტილი დავუსვათ კამათს.

„აღდგა“ ერთპირიანი და მესამე სუბიექტური პირის ზმნაა. ცხადზე ცხადია, რომ მესამე ირიბი ობიექტის ნიშანი „ს“ მასთან არ უნდა იყოს, რადგამ მას ირიბი ობიექტი საერთოდ არ ეწყობა. მაგრამ აქ სრულიად განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე. ჯერ ერთი, თვითონ ქრისტეს აღდგომა სასწაულებრივ მოვლენას გულისხმობს - ყველანაირი მოვლენისა თუ ფაქტისაგან სრულიად განსხვავებულს, ამიტომ ვითომ რატომ არ უნდა გამოირჩეს დანარჩენი „აღდგომისა“თუ „ადგომისაგან?“

სულ უბრალო მაგალითის მოყვანაც საკმარისია, რომ დაგარწმუნოთ ამის ჭეშმარიტებაში. ვთქვათ, რაღაც ხუხულა იდგა, ქარმა დაანგრია და შემდეგ მეპატრონემ აღადგინა (შემინდე, უფალო, თუ უხერხულ შედარებას ვაკეთებ). გასაგებია, რომ ხუხულა აღდგა. ამ კონტექსტის შემდეგ შეიძლება იმ სასწაულ მოვლენაზეც იგივე სიზუსტით ვისარგებლოთ ფონემების რიგითობით და ვთქვათ ქრისტე აღდგა? არამც და არამც! მეტიც, მკრეხელობაც კი გვგონია ასეთი გამოთქმა. დიახ, გრამატიკული კატეგორიები შორს უნდა დავიჭიროთ ამ მოვლენის „აღსაწერად“, რადგან ამ შემთხვევაში, მთავარი გრამატიკულად მისაღები კი არა, გულისთვის და სულისთვის მისაღები ფორმა უნდა ავახმიანოთ - აღსდგა.

მე არ მინდა, მკითხველს თავი შევაწყინო ლინგვისტური წიაღსვლებით და ძალიან მოკლედ ვიტყვი: ლინგვისტიკაში არსებობს ცნება უზუსი, რაც, ერთგვარად, სალიტერატურო ნორმებთან დაპირისპირებას გულისხმობს. სულ უბრალო მაგალითი: ოფიციალური წერილისას, თუ პიროვნებას მივმართავთ და წერილს ამ მიმართვით ვიწყებთ (მაგალითად, ბატონო გიორგი), გრამატიკულად აუცილებელია მიმართვის ბოლოს ძახილის ნიშანი, რომელსაც არავინ ხმარობს, მის ნაცვლად გამოიყენება სასვენი ნიშანი მძიმე (რაც, რა თქმა უნდა, გრამატიკული კაზუსია). ეს იმიტომ, რომ ძახილის ნიშანი, ერთგვარად ბრძანების ფორმას ძენს ამ მიმართვას, მძიმე კი არბილებს მას და მასში პატივისცემა უფრო იკითხება.

ესეც არ იყოს, „ს“-ს შემოტანით (ანუ ირიბი ობიექტის „გამოჩენით“ ჩვენ უფრო სამპირიანობის განცდას ვეუფლებით, ანუ შემოგვაქვს ჰიპოსტოსი წმინდა სამების სახით.

დიახ, თამამად ვთქვათ „აღსდგა“ რადგან ამ ზმნაში მოკრძალებაც, რიდიც და მოწიწებაც უფრო ნათლად ჩანს უფლისადმი.

ასე, რომ ქრისტე აღსდგა, მეგობრებო!

გოგი გოგოლაძე

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.